№ 168

სამშაბათი, 8 აგვისტო 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვ | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 168

სამშაბათი, 8 აგვისტო 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

**მმართველობა ქუთაისის სათავად აზნაურო სკოლისა** ამით აცხადებს, რომ ხსენებულს სასწავლებელში მისაღები ეგზამენები და ხელმეორედ გამოცდა მოსწავლეებისა დაიწყება 25 მარიამობისთვეს, ხოლო სწავლა პირველ ენკენისთვეს.

(3—6—1).

„წერა-კითხვის გამავრცელებელის აზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს დაიჭიროს ადგილი მეორე მასწავლებლისა ბათუმის ქართულს სკოლაში, უნდა თხოვნით მოჰმართოს გამგეობას 25 აგვისტომდე ამ წლისა. მეორე მასწავლებელს ეძლევა: ჯამაგირი თვეში ოთხი თუმანი, სადგომი და მოსამსახურე.

(7—6)

**ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ**

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოჰგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## ახალი ამბავი

*** აქამდის სასულიერო სასწავლებლებში მოსწავლე ყმაწვილები დიდს გაჭირვებაში იყვნენ ჩაცვივნულნი წლოვანობის გამო. თვრამეტი წლის მოსწავლეს შეეძლო მხოლოდ გადმოსვლა სასულიერო სემინარიაში. ზემოხსენებულ წლოვანობაზედ ერთის თვითაც რომ ყოფილიყო მეტი, იმ შემთხვევაშიაც-კი არ იღებდნენ. ამ ორის წლის წინად თვით თვრამეტის წლისასაც-კი უძნელდებოდა გადმოსვლა, როგორც გვახსოვს. კერძო შუამდგომლობა უნდა გაეწიათ სინოდის წინაშე, რომ გადმოეყვანათ მოსწავლე. რასაკვირველია, ეს ყველას არ შეეძლო მოეხერხებინა და სასულიერო სასწავლებელში სწავლას დაწაფებული ყმაწვილი, სრულიად ეთხოვებოდა სწავლის განგრძობას. ეხლა როგორც შევიტყეთ, უწმიდესს სინოდს ეს კანონი შეუცვლია, და გამოუცია უქაზი, რომ ამიერიდგან მიიღებოდნენ სასულიერო სემინარიაში თვრამეტ წელზედაც მეტის ხნის ყმაწვილები.

*** ბ. ვასილ აბაშიძე და ჩვენი მემუსიკე მელ. ბალანჩივაძე, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინად დაბრუნდა პეტერბურგიდგან, გამართვენ ერთს საღამოს დ. საჩხერეში ამ თვის ხუთმეტამდე.

*** სახაზინო თეატრის ანტრეპრენერი ფორკატი ჩამოვიდა ტფილისში. მოსკოვიდგან იმას მოუწვევია საოპერო დასი შემდეგი პირებისაგან: დრამატიული სოპრანო: ქ-ნი ენკვისტისა და ივანოვისა, ლირიკული სოპრანო,—ბერტენიევისა; კოლორატურის სოპრანო მარშადისა; მეცოსოპრანო, ვიკტოროვისა და კუროჩვინისა, კონტრალტო შუბინისა. მომღერალ მამა-კაცთ რიცხვში არიან: ბრუშევსკი, სიკაჩინსკი, დუვიკლერი, ჩებანოვი, კრუგლოვი და სხვ. უმთავრესი ლოტბარი ორკესტრისა ტრუფი და რეჟისორი ბელსკი. ოპერა დაიწყება 14 სექტემბერს. ახალ ოპერათ შორის წარმოადგენენ მანონლესკოს, ჰამლეტს და გუარანის.

*** გუშინ-წინ, 6 აგვისტოს, ნაშუადღევს მუხრანიანთ ქუჩის პირას მტკვარზედ ჩამოვიდა საბანაოდ სიცხისაგან შეწუხებული გიმნაზიის სამი მოწაფე. ვიდრე ესენი ტანთ გაიხდიდნენ, მიუკოცდნენ ახლო ვიღაც კინტოები და ბავშვებს დაუწყეს საძაგელი სიტყვებით ლაპარაკი. ბავშვები ჯერ ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ რაკი საქმე გაუჭირეს, ერთმა მათგანმა რომელიც ყველაზედ უფროსი იყო, პასუხი მისცა; მაშინ ერთი კინტოთაგანი წამოდგა ფეხზედ და ხელიც-კი შეუმაღლა დასარტყმელად. ბავშვმა თავი მოარიდა და მით გადურჩა გალახვას. საცოდავს ბავშვებს მეტი გზა არა ჰქონდათ, ჩაიცვეს ტანთ და ამოვიდნენ ქუჩაში პოლიციელის დასაძახებლად; ისინი პოლიციელს ეძებდნენ, მაგრამ პოლიციელი-კი ღმერთმა უწყის, სად იყო!.. პოლიციელნი მხოლოდ მაშინ მოიყრიან ხოლმე სამნი-ოთხნი ერთად თავს, როდესაც არც ერთი არ არის საჭირო!..

*** ამავე დღეს, ნიკოლოზის ქუჩაზედ გაირა ოთხმა რუსმა. წინ შემოეყარათ ორი აისორი; ერთმა რუსმა ხელი ჰკრა აისორს, აისორი წაიქცა, მაგრამ ისევ მალე წამოდგა და რუსს სილა გაარტყა; გაჩნდა ჩხუბი რუსებსა და აისორებს შუა. აისორებს აისორები მიეშველნენ და ბოლოს საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ერთმა აისორმა ამოიღო დანა, დაჰკრა მკლავში მოჩხუბარს რუსს, შემდეგ მეორეს და გაიქცა. გაქცეული აისორი მაშინვე შეუპყრიათ და როგორც ამბობენ, ამ ჩხუბის გამო სამი რუსი და ექვსი აისორია დაჭერილი.

*** ქუთაისიდგან გვწერენ: ამას წინად თქვენს გაზეთში დასტამბული იყო, რომ ქუთაისის თეატრის გადაკეთება დაიწყესო. ჩვენ აქ ვუტრიალებთ ყოველ-დღე ამ თეატრს, და მუშაობის ჭაჭანიც არ ისმის შიგ. აქაური ქალაქის მმართველები, რაზედაც გნებავთ იმაზედ ჰფიქრობენ, ჰფიქრობენ და ჰფიქრობენ, მაგრამ თეატრისათვის-კი თითსაც არ ანძრევენ. პროექტები და გეგმები, „დოკლადები“ და მოხსენებანი—რაზედაც გნებავთ და არ გნებავთ მზად აქვს ქალაქის გამგეობას თავისს პორტფელში, მაგრამ ვერც ერთს მათს განხორციელებას ქუთაისი ვერ მოესწრება, იმიტომ რომ ,,ლაპარაკა“, „ლაპარაკა“, „ლაპარაკა“ და სხვა არაფერი...

*** იქიდგანვე გვატყობინებენ: ერთად-ერთი ეკკლესია არის მოხერხებულ ალაგას შუა ქალაქში, სადაც ღარიბ ხალხს, მუშებს და წვრილ მოვაჭრეებს შეუძლიანთ წირვა ლოცვა მოისმინონ, მაგრამ ეს რამდენიმე დღეა წირვა ლოცვა მოგვესპო, რადგან ვიღაც დედაკაცის ჩივილის გამო, აქაურ სასულიერო მმართველობამ ამ ეკკლესიაში რუსულად დაიწყო წირვა. მთელს ეკკლესიაში ამ დედაკაცის გარდა უცხო არავინ დადის.

*** ბათუმიდგან გვწერენ, რომ სიცხეების გამო სრულებით დაცალიერდა ქალაქიო; ვისაც-კი შეეძლო გავიდა აგარაკათ და ითქვამს სულსაო. როგორც იქნა 30 ივლისს წვიმა წამოვიდა და ცოტა გაგვაგრილა. ამ სიცხეებში. დაცალიერებულ ქალაქში გვეწვია ბ. რატილი თავისს ქართული ხოროთი და გაგვიმართათი კონცერტი, რომელმაც ძალიან ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება.

*** სუმბათოვის სადგური (ბორჯომის გზაზე): 5 აგვისტოს ღამის ათ საათზედ სახალხო მატარებლის ქვეშ ჩავარდა რკინის გზის მეისრე თევდორე ციში. საცოდავი ძლიერ დაშავებულია; მორჩენის იმედი არა აქვთ.

*** დ. ონი (რაჭა): აქ უფასო სამკითხველო დაარსეს. ვსთხოვთ წიგნებით დაგვეხმარონ. წიგნები უნდა გამოიგზავნოს ეგნატე მრევლიშვილის სახელზედ.

*** ყვირილა: 5 აგვისტოს რკინის გზაზედ მომუშავე დიმიტრი მაკარიძე უნდა გადმომხტარიყო მატარებლიდგან, მაგრამ ფეხი აუცდა და ვაგონებს შუა ჩავარდა. მაკარიძე ძლიერ არის დასახიჩრებული; დაშავებული ტფი-

## ფელეტონი

### ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა.

„კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემა № 36.

ლ ე ქ ს ნ ი

კნ. ნინო ორბელიანისა

(ავტორის სურათით)

მეორე გამოცემა

ახალ-სენაკი, 1895 წელსა“.

„მეორე ლექსი ცოტაი,
ნაწილი მოშაირეთა;
არ ძალ-უძს სრულ-ქმნა სიტყვათა
გულისა გასაგმირეთა.
მესამე ლექსი კარგი არს
სანადიმოდ, სამღერელად,
სააშიკოდ, სალაღობოდ
ამხანაგთა სათრეველად“.

შოთა.

I

უკვდავი შოთა თავისს უკვდავი თხზულების წინასიტყვაობაში ჰყოფს მოშაირეებს (მგოსნებს) სამ ხარისხად. პირველის ხარისხის მოშაირეები ცხოვრების მიმდინარეობას სათავეში უდგანან ვინაიდგან მათი ლექსები არიან

,,საღმრთო საღმრთოდ გასაგონი
მსმენელთათვის დიდი მარგი‘‘.

ისინი ჰარმონიულად შეაკავშირებენ ხალხისათვის სასარგებლო აზრებს მშვენიერ გარეგან ფორმასთან. მათი ჰარმონიული ლექსი საღმრთო, ცით მოვლენილს სიტყვასა ჰგავს და ამიტომ სასიამოვნოა გასაგონად და სასარგებლოცაა ხალხისთვის. ასეთი ლექსების წერა ხვედრია მხოლოდ დიდ-ბუნებოვანი და ღრმა ნიჭის მქონებელი მგოსნებისა, რომელთ აზრები ,,ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტსავით‘‘, შემოსილნი უკვდავების შარავანდედით, გარდაეცემიან მამიდგან შვილსა, შთამომავლობიდგან შთამომავლობას. ეს აზრები უნებლიედ იმორჩილებენ კაცის გულსა, ხიბლავენ მისს გრძნობა-გონებასა, როგორც ხელოვნურად სრულ-ქმნილი, გულის გასაგმირი სიტყვები. ასეთს მგოსნებს უნდა ვუწოდოთ პირველის ხარისხის მგოსნები. მეორე ხარისხის მგოსნები-კი ასეთი ნიჭით არ არიან დაჯილდოვებულნი: მათს სიტყვებს აკლიათ ის ძლევა-მოსილი გავლენა, რომელიც იმორჩილებს კაცის ჭკუა-გრძნობას და მთლად მისს არსებასა. ასეთს მგოსნებს არ შეუძლიანთ საჭირ-ბოროტო, ღღიურს კითხვებს ღრმად დააკვირდნენ; ისინი მხოლოდ გაკვრით, ზერე წრულად შეეხებიან ამ კითხვებსა. ესრედ ყმაწვილს მონადირეებს, რომელნიც მშვილდ-ისრის სროლაში გავარჯიშებულნი არ არიან, არ შეუძლიანთ მოჰკლან დიდ-დიდი მხეცები, ვინაიდგან მათ ,,ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთა‘‘ (შოთა). მესამე ხარისხის მგოსნები სწერენ ისეთს ლექსებს, რომელნიც გამოდგებიან:

,,სანადიმოდ, სამღერელად,
სააშიკოდ, სალაღობოდ,
ამხანაგთა სათრეველად‘‘.

უკვდავის შოთას შემდეგ საქართველოში სწორედ მესამე ხარისხის მგოსნების რიცხვი გამრავლდა. მაშინ, როდესაც სამშობლო ჩვენი უფსკრულის პირას იდგა და სული ხდებოდა, ჩვენი მესამე ხარისხის მგოსნები „ვარდ-ბულბულიანებს“, „ბეჟანიანებს“, „სიყვარულის ბაღებს“, „ქალ-ვაჟიანებს“, „ვარშაყიანებს“ და სხვა ათას ნაირს რამეებსა სწერდნენ ხალხის გასათახსირებლად და გასარყვნელად. მათის საარშიყო და სასიმღერო ლექსების მეოხებით ჩვენს სამშობლოში გაჩნდა „სუფრის მეცნიერება“, რომლის ჩაგონებით ქართველი ჰფიქრობდა მხოლოდ თავისს კუჭის გაძღომაზედ, ღვინის სმაზედ, ლამაზ ნინოებზედ და სხვა... ჭამა-სმაში, ქეიფში, მოლხენაში, მხიარულებაში, ცეკვაში და სხვა გასართობებში ქართველმა სწორედ სრული და უნაკლულო კულტურა შექმნა და ამ მხრით სხვა ერებს ერთი-ათად გადააჭარბა. ქართველი თავისს მუცელს ჩასტიროდა მაშინაც-კი, როდესაც მისს საზოგადოებრივს ცხოვრებას შავი დღე ადგა, როდესაც მისს დამოუკიდებლობას და თვითარსებობას ძირი ეთხრებოდა; ის, ამის მიუხედავად, არხეინად გაიმღეროდა:

ისევ და ისევ ღვინითა,
დროც გავატაროთ ლხინითა“,

ანუ და:

«კახურო ღვინოვ, ვარ შენი მსმელი,
გინდ თეთრი იყო, გინდა წითელი...»

სწორედ «სუფრის მეცნიერებამ», «სასუფრო კულტურამ» ჩადვა საძირკველი იმ გარემოებისა, რომელიც დღეს ჩვენს თავად-აზნაურობას ხელიდგან აცლის მისს მამა-პაპის სისხლით მორწყულს ადგილ-მამულს და უქადის მას შავ-ბნელს მომავალსა, თუ თავისს აწინდელს მდგომარეობას ღრმად არ დააკვირდება და არ გამოსძებნის სალსარს ასეთის მომავალის თავიდგან ასაშორებლად.

II

«მუზავ! რა იქენ, სად წახვედი,
სად დამემალე?!
უშენოდ ყოფნა ონეს მაკლებს, მომხედე მალე.
აწ შენს სიახლეს მე ბედ-კრული დამანატრულე,
ხანგრძლივ სიცოცხლე არ დამიტკბე,
არ მიერთგულე...

კნ. ნინო ორბელიანისა.

(გვ. 24).

კნ. ნინო ორბელიანისა ორმოცდა-მეათე წლებიდგან დაწყებული დღემდის ჩვენს საზოგადოებას არ აკლებს თავისს მუზის ნაწარმოებსა; მაშასადამე, ის თანამედროვეა ყველა შესანიშნავის ქართველის მწერლისა, რომელთ ზედგავლენა შესამჩნევად ეტყობა იმისს ლექსებს, როგორც ფორმის, აგრეთვე შინაარსის მხრით; ამათი ნააზრით, სულის კვეთებით და იდეალებით სულდგმულობს ნ. ორბელიანის პოეზია. იმისს პოეზიას ცხადად ემჩნევა გავლენა, როგორც ქართული «სალხინო», ისე «ილია-აკაკისებურის» პოეზიისა, მაგრამ თვით ნინო ორბელიანისას თვისის ხანგრძლივის მოღვაწეობის დროს ვერ გამოურკვევია ნათლად ქართულის პოეზიის ახალი მიმართულება, რომელიც დაიწყო მესამოცე წლებიდგან. მისს პოეზიას მთელის ორმოც-და-ოთხის წლის განმავლობაში არ ეტყობა არავითარი ზრდა წარმა-

ლისის რკინის გზის საავადმყოფოში გამოგზავნეს.

⁂ განჯა: 3 აგვისტოს კონდუქტორი ანტონ შალიკაშვილი რევოლვერს სინჯავდა; უეცრად გავარდა და მხარში მოხვდა. ჭრილობა საკმაოდ საშიშია.

⁂ ს. ვარძია: სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანს. ხშირმა წვიმებმა შეგვაწუხა. წვიმებისაგან ადიდებულმა წყლებმა ბევრგან სიმინდი წალეკა და იმსხვერპლა რამდენიმე სული საქონელი და ადამიანი.

## კორესპონდენცია.

**იკორთა,** (გორის მაზრა). ამ ოთხის წლის წინად დაწყებულ იქმნა იკორთის ტაძრის განახლების საქმე. ეს ტაძარი წმ. მთავარ-ანგელოსის მიხეილის სახელობაზეა აღშენებული მეექვსე საუკუნეში და 1817 წლამდის მონასტრად ითვლებოდა; აქვე იყო სასულიერო სასწავლებელი,—მონასტერს დიდ-ძალი ადგილ-მამული ჰქონდა, რომელიც დღეს მისს საკუთრებას აღარ შეადგენს. ეს დიდებული ნაშთი ჩვენის წარსულისა მეტის-მეტად დაზიანებული იყო; მასში წირვა-ლოცვა აღარ სწარმოებდა მთელის ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში. მით უმეტეს სამწუხარო იყო ეს გარემოება, რომ ამ ტაძრის წიაღში განისვენებენ წმ. გვამნი ბიძინა ჩოლოყაშვილისა და შალვა და ელიზბარ ერისთავთა, რომელთაც მიიღეს გვირგვინი წმ. მოწამეობისა სპარსთაგან 1660 წელსა მართლ-მადიდებლის სარწმუნოების მტკიცედ აღსრულებისა და თვისის სამშობლოის დაცვისათვის. არა-სასურველს მდგომარეობას იკორთის ტაძრისას გულ-მხურვალე ყურადღება მიაქცია ბლაღოჩინმა, მღვდელმა მ. იოელ გამრეკელმა, რომელმაც ყოფილის ეგზარხოსის პალლადის ნება-რთვით და ლოცვა-კურთხევით შეადგინა კომიტეტი ტაძრის განსაახლებლად. კომიტეტის თავ-მჯდომარეობა იკისრა ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ: კომიტეტის წევრებად იყვნენ: გორის მაზრის უფროსი თ. რ. შ ერისთავი, თავ. კ. ბ. ერისთავი, თავ. კ. მ. ერისთავი, ბლაღოჩინი მ. იოელ გამრეკელი და მღ. მ. დავით გამრეკელი. თავად ერისთავებმა უხვად გამოიღეს შეწირულება; იმათ და პოლკოვნიკმა ალექსანდრე ივანეს ძე ორბელიანმა სულ შესწირეს 3611 მანეთი. კომიტეტმა შეაკეთა ტაძარი შიგნით და გარეთ,—ადგილ-ადგილ ძველი შესანიშნავი მხატვრობა დაცულ იქმნა. დღეს იკორთის ტაძარი მშვენიერი სანახავია, და ეს მეორე წელიწადია მასში წირვა-ლოცვა სწარმოებს. კომიტეტი დღეს იმის ზრუნვაშია, რომ როგორმე ამ მშვენიერს ეკკლესიას ქვითკირის გალავანი შემოარტყას და გააკეთოს ოთახები, როგორც კრებულისა, ისე მლოცავთათვის.

x.

—

**სამეგრელო.** მთელის ივლისის განმავლობაში არა ერთხელაც ყოფილა რიგიანი წვიმა, რის გამოც ყოველი ნათესი მინდვრებისა ერთობ აიწვა ხანგრძლივის გვალვისაგან. მუშა კაცი თვალ-ცრემლიანი და გულ-ხელ დაკრეფილი სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, როცა ჭირნახულის ამგვარს გაფუჭებას ხედავდა. მართლაც ისე დააზიანა გვალვებმა და აღმოსავლეთის ღონიერმა ქარმა, რომელიც სამეგრელოს დაუძინებელი და გამაპარტახებელი მტერია, ჯეჯილი, რომ ღმერთმა იცის იმისი გამოპრუნება. ამ გვარმა ბუნების სიდუხჭირემ, არამც თუ მარტო ნათესზედ იმოქმედა, არამედ ყოველი სულიერი და უსულო არსება შეაწუხა. ზოგან წყაროები დაშრა, ბალახიც გახმა და უსაჭმელოდ კინაღამ საქონელი დაიხოცა. როგორც იყო ძლივს-ძლივობით 31 ივლისს ცა მოიღრუბლა და წვიმაც მოვიდა, მაგრამ არ ვიცით უშველის თუ არა ამწვარ-ათუთქულს ჯეჯილს ეს წვიმა... მოარულმაც სული და გული შეგვიწუხა, მაგ., ყვავილმა. ეს სენი ხშირი სტუმარია წელს სოფლებში. ბევრი გაისტუმრა საიქიოსაკენ, მაგრამ ხალხი მაინც „ბატონებს" წამლობას ვერ უბედავს...

2 აგვისტოს, 1895 წელსა.

ტრ. კალანდარიშვილი.

## მთანი მაღალნი.

იდგნენ და ელოდნენ. უსაზღვრო მთების მოლოდინი; უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში წითლად სისხლის ფრად შედედებული უთიმთიმებსთ გულ-მკერდში. გარეთ, სახეზე კი არაფერი ეტყობათ, გარდა მტერობისა,—ესაა კიდეც ნიშანი მოლოდინისა. ვინ რა იცის, რა ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი სდუღს და გადმოდის!

მთებო, მთებო! რას ელით, ვის ელით? ნუ-თუ გყავთ სატრფო დიდი ხნის უნახავი? იქნებ შვილი დაჰკარგეთ? იქნებ ძმა, ან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგსვლიათ? პასუხი არ ისმის. სდგანან წარბ-შეუხრელად. ელოდნენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში ამ მოლოდინის ზღვას? არა აქვს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ღვთაებას....

როცა ყველა სულ-დგმულს, მწერს, ბალახს, ყვავილებს, მდინარეს და მოუსვენარს, დაუღალავს ნიავს დაიძინებათ, მაშინ, მხოლოდ მაშინ ამოიოხრებენ და ცრემლსაცა ჰღვრიან. ჩვენ-კაცნი მაშინ ვამბობთ: ახ, რა მძიმე ლოდივით ნაღველი მაწევს გულზეო.

რატომ არ მღერით, მთებო?! განა ისე უნდა მოვკვდე, რომ თქვენი ხმა, თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო? რატომ არ იცინით? ღიმილი მაინც მიჩვენეთ თქვენი, კარგებო! მაგრე როგორ დაგიმონათ, შეგიპყრათ, დაგიმორჩილათ ერთმა ფიქრმა, რომ სხვა ყოველივე ძალა და ნიშანი სიცოცხლისა დათრგუნვილა თქვენს გულგონებაში?! არა, არა. ხან-და-ხან თქვენც გიხარიანთ და ქვეყანას-კი ჰგონია, ვითომ თქვენ არაფერს ჰგრძნობთ. ხომ ვიცი თქვენს გულში სანთლები დაენთება, როცა ლალი არწივი დაგთამაშებთ თავზე? დასასვენებლად თქვენს კალთაზე ჩამოუშვება. რა ლამაზები ხართ მაშინ, როგორ გიხდებათ, რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ისე მამაცი, შეუპოვარი და ლამაზია. ის ხომ შიკრიკიცაა თქვენი. ღმერთს უამბობს, ატყობინებს თქვენს ამბავს....

არა გაქვთ აზრი? იდეია? გრძნობა? არ ოცნებობთ? როგორ-არა! მაშ რაა ის მშვენიერი ყვავილები, თქვენ რომ გულ-მკერდს გიმშვენებთ. ეგაა თქვენი ოცნება, იმედი, ნუგეში. რად იბურავთ თავს ხშირის ნისლებით, თუ ჩუმ-ჩუმად რასმე არა ჰფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმალავთ ადამიანის შვილებს?! რად მოგყავთ ბალახი? რად ადენთ ცივთა წყაროთა? რად აქანებთ ზვავებს? რადა ზრდით ლაღთა ხარ-ჯიხვთა? ვის ატყუებთ, თქვე კარგებო!

სდგანან და ელიან. წვიმა წვიმს იმათ თავზე, ელვა უტუსავს ოქროს ქოჩორს: მეხი ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირადაც ერჭობა ისარივით გულ-მკერდში. არაფერი. ინგრევა ხშირად ნახევარი მთა და ზვავათ მიდის ხევში. არაფერი ეგრევ, თუ კლდე და ლოდები. მაინც ელიან. წადით, ვისაც არ გინდათ ჩვენთან მაღლა, ცის ახლოს ყოფნა, დაბლა განისვენეთ.

სდებს თოვლს. ჰყინავს. ცივა. ქვა ტყვრება; მთებს სუდარი ჩაუცვამთ ტანზე, თითქოს მკვდრები იყვნენ. დაგვმარხეთ, დაგვიტირეთო, გვეძახიან. ჩვენ-კი იმათგან მოველით დამარხვას...

სდგანან და ელიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ. მაგრამ არ იხოცებიან, არც ჰლექდებიან. ელიან ვის? ან რას, რაღაცას. დიახ, რაღაცას. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა. ჰნახეს და გაათავეს, რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა. სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა. ეს ხომ თვალ-გულის გაუმაძღრობაა. სწორედ რომ ისაა.

ვაჟა-ფშაველა.

## მცირე შენიშვნა.

„ივერიაში" ამ ბოლო დროს იყო მოხსენებული, რომ დუშეთისა და აგრეთვე სხვა მაზრებშიაც ვაზს რაღაც ავადმყოფობა გაჩენია, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ვაზს ფოთლები უწითლდება, უხმება და მიწაზედ სცვივა, აგრეთვე მტევნებიც უხმება და ძირს ცვივა, ფოთლებს სიწითლე ეპარება ნაპირებიდგანაო. ამგვარი მოვლენა ეტყობა ვენახებს ყირიმშიაც, რომლის მიზეზი წრევანდელი ნამეტანი სიცხეებია. ამნაირად ვენახის დაზიანებას ეწოდება მზის დაკვრა—Солнечный ударъ, ფრან. Coupe de soleil. ეს მზის დაკვრა ხშირად ხდება სხვა ქვეყნებშიაც, როდესაც მომეტებული სიცხეებია ხოლმე.

თუ მარტო ქვევითა ფოთლებს ჰხვდათ ეს ბედი, მაშინ კიდევ არაა ნამეტანი საშიში, რადგანაც მცენარეზედ დარჩენილ ნაყოფს დაამწიფებს ზევითა—უფრო ახალგაზდა მწვანე ფოთლები, და თუ ყველა ფოთლებია მზისაგან, ან სხვა რამე მიზეზით გამხმარი—გაფუჭებული, მაშინ, რასაკვირველია, მოსავალს არაფერი გამოაბრუნებს,—ვერც მარტო ქვევითა დაძველებულ-დაბერებული ფოთლები დაამწიფებენ მტევნებს.—

შესაძლებელია „ივერიაში" ხსენებულ ვაზის ავადმყოფობის მიზეზი სოკო მაგვარია,—ან რამე სხვა—სენი იყოს; ამ შემთხვევაში მისი შორიდგან უნახავად გამოცნობა ძალიან ძნელია და თუ ვინმე ისურვებს და დაჰჭირიანებულ,—დაზიანებულ ვაზის ფოთოლს და რამდენიმე მარცვალს გამოგზავნის,—ჩვენ აქ დიდის სიამოვნებით ვეცდებით ავხსნათ, სახელი ვუწოდოთ და თუ რამე სახსნელი საშუალებაა მოპოვებული — ვაცნობოთ გაზეთის მკითხველებს; მხოლოდ ვსთხოვთ მსურველთ, რაც შეიძლება დააჩქარონ.

ადრესი: Ялта. Императорскій Никитскій садъ. Семену Хундадзе.

სვიმონ ხუნდაძე.

—

ტება არც შინაარსისა და არც ფორმის მხრითა. კნ. ნინო როგორც მთვარე სესხულობს შუქს მზისაგან და, თუმცა საამურად ანათებს ღამის წყვდიადს, მაგრამ არა საკუთარის სხივით, არამედ ნასესხებით. მათ აქვთ ცხოვრებაში თვისი შესაფერი ადგილი, თანაგრძნობა საზოგადოების მხრით; ისინი მაღლა სდგანან უბრალო მომაკვდავზედ. კნ. ნინო ორბელიანისას საკმაო სამსახური მიუძღვის ქართულის სიტყვიერების წინაშე. ჩვენი ქალ-პოეტი თანაუგრძნობდა იმ მაღალს იდეალებს, იმ სატრფიალო საგნებს, რომელნიც გვიმოძღვრეს ჩვენმა პირველის ხარისხის მგოსნებმა. ლექსთა კრებულის წინასიტყვაობაში ამბობს კნ. ნინო ორბელიანისა: «მეც მიცემდა გული მამულისათვის, ერისათვის, მოძმეთათვის, მოყვასთათვის და მეგობართათვის». რამდენად მართალია ეს მისი აღსარება, ამას ქვემოდ უფრო გავიგებთ... თავისს ლექსებში ხან-და-ხან მოუწოდებს ის მუზას, რომლის შორს ყოფნა ძალას აკლებს მისს ჩანგის ჟღერას, ხან თვითვე არა სწამს თვისის მოღვაწეობის ღირსება და ამბობს:

„მაშ რაღას ვჯდაბნი?!
კალამს ვსდებ ძირსა". (გვ. 21).

სჩანს იმას თვითვე არ მოსწონს თავისივე ლექსები, მაგრამ მაინც უყვარს იგინი, როგორც თვისის სულის, გულისა და ჭკუის ნაყოფი. „კაცს რაც უნდა უგვანო შვილი გამოუვიდეს, მაინც მისი შვილია მაინც გულის ჯიგარია და უყვარს, ეალერსება". თვითვე აღიარებს თავისს წინასიტყვაობაში კნ. ნინო ორბელიანისა.

III

„მძულს უგულოთ სიყვარული,
ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში".

შოთა.

კნ. ნინო ორბელიანისას ბევრი ლექსები სიყვარულისათვის უძღვნია. იმ თავითვე სიყვარული გახდა მთელის მსოფლიოს მგოსნების მღერის საგნად. სიყვარულს აღმერთებდნენ საბერძნეთისა და რომის მგოსნები; მათ შორის ანაკრეონი და ოვიდიოსი ისეთს სიყვარულის ლექსებსაც სწერდნენ, რომელთ წაკითხვას არც-კი იკადრებს ზნეობით შეუბღალავი ადამიანი. სიყვარულის შინაარსის ლექსებმა საბერძნეთის, არაბეთის და სპარსეთის ზედ-გავლენით საქართველოშიაც ნოყიერი ნიადაგი ნახეს თვისის არსებობისა და გაძლიერებისათვის. ქართველს, როგორც სამხრეთის მცხოვრებს, საშინლად მოეწონა სიყვარულის ჰანგებზედ მღერა. ერთად შესანიშნავ თხზულებაებთან, ქართველები არაბულისა და სპარსულის ენებიდგან სთარგმნიდნენ ისეთ თხზულებათაც, რომელნიც რყვნიდნენ ხალხის ზნეობას. ასეთი თხზულებანი ქართველს შეაყვარებდნენ უჭკუო მხიარულებას, ხორციელ ვნებათა დაკმაყოფილებას და ცალიერსიტყვაობას. ჩვენი ისტორიკოსი სულხან ბარათოვი ამბობს: „აღმოსავლეთის ზედ-გავლენით ქართველი მგოსნები და მომღერლები არაფერს არა სწერდნენ და არც ჰგალობდნენ უმეტაფოროდ. მზე, ბულბული და ვარდი ისეთი განუშორებელი მეგობრები იყვნენ მათთვის, რომ გეგონებოდა, უამათოდ არც ერთს რომანტიულს ნაწარმოებს არა აქვს არავითარი ღირსებაო. ამ სისუსტეს დაემორჩილნენ სახელოვანი მგოსნებიც, რომელნიც ამშვენებდნენ თამარის საუკუნეს. ყველა მოთხრობებს, ზღაპრებს და არაკებს არაბული ხასიათი აქვთ. ზღაპრის ან რომლისამე ანდაზის მთქმელი თავისს ამბავს იწყებს არაბეთის რომელისამე მეფის, ვეზირისა ან ვაჭრისაგან („Ист. Грузіи С. Баратова тетр. III стр. 41—42). ისეთ ნაირად იყო მართლაც ცუდი შინაარსის ლექსები და სიმღერები საქართველოში გავრცელებული, რომ მეფე დავით აღმაშენებელმა ჰქმნა განკარგულება მათ მოსასპობლად ქართველთა ჯარში, რასაც ჰმოწმობს „ქართლის ცხოვრებაც": „საეშმაკო სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი მოსპობილი იყო ლაშქართა შინა მისთა" (ნაწ. I გვ. 256). თვით შოთამაც უარ-ჰყო ასეთი ლექსების და სიმღერების მნიშვნელობა. მართალია, „სიყვარული აღგვამაღლებს" (შოთა), მაგრამ მარტო მისთვის გუნდრუკის კმევა, მისი გაღმერთება ჩვენ სავნებლად მიგვაჩნია საზოგადოებრივის ცხოვრებისათვის. სასიმღერო და საარშიყო ლექსებში, როგორც მოწმობს ფილოსოფოსი შოპენ-ჰაუერი, იმალება ზნეობითი სიდუხჭირის შხამი. აი ამისათვის ფილოსოფოსი პლატონი და რომის პედაგოგი კვანტილიანე წინააღმდეგნი იყვნენ ბავშვებისთვის ასეთის ლექსების სწავლებისა. პლატონი უშლიდა მასწავლებლებს ესწავლებინათ ბავშვებისთვის ისეთი შესანიშნავი პოემაც-კი, როგორიც არის ჰომიროსის „ილიადა", ვინაიდგან ამ პოემაში ბევრგან გატარებულია სიყვარულის შესახები აზრები. მართლაც, ლექსები სიყვარულის შინაარსისა, თუმცა აღელვებენ კაცის გრძნობას, მაგრამ მის სამსჯელობო სალაროში ვერავითარს წვლილს ვერ შეიტანენ, დინჯურს მოიფიქრებს მას ვერ შეაჩვევენ, თვის აწმყო საზოგადოებრივს მდგომარეობას ვერ გააცნობენ... ასეთი ლექსების წაკითხვა იამება მხოლოდ მას, ვისაც შეეხებიან ისინი, და ან კიდევ იმ უმრავლესობას, რომლის საგანია ქეიფი, მხიარულება და პირუტყვული დროს—გატარება. ამისათვის ჩვენ არავითარს საზოგადოებრივს მნიშვნელობას არ ვაძლევთ კნ. ნინო ორბელიანის იმ ლექსებს, რომელნიც სიყვარულს შეეხებიან. თუმცა უმრავლესობა ამ ლექსებისა კაი გრძნობითაა დაწერილი და სასიამოვნო წასაკითხნიც არიან, მაგრამ მაინც საზოგადოების ცხოვრების განვითარებისთვის ყოვლად უსარგებლონი და უმნიშვნელონი არიან. ასეთი ლექსები გამოდგებიან მხოლოდ:

„სანადიმოდ, სამღერელად,
სააშიკოდ.....".

რისთვის და როგორ გამოდგება, მაგალითად, ცხოვრების წარმატებისათვის შემდეგი მისი ლექსი:

«სატრფო თუნდ იყოს ათას კაცშია,
მე მას გავარჩევ იმავ წამშია;
მისი ღიმილი, ჩემი ყურება
მხოლოდ მე მესმის, მე მეყურება.
თუ სატრფოს ვხედავ, ვარ ეშხიანი,
გავლამაზდები ქეიფიანი»?! (გვ. 50).

ინ-ფარი.

(შემდეგი იქნება).

P. S. რაც შეეხება ბ-ნ ვ. წ. კითხვას („ივერია“ № 147) თუ რამდენათ სასარგებლო იქნება ნიადაგისათვის ცერცვეულ მცენარეების (бобовыя растенія) ტან-ფესვების მიწაში ჩახვნა; საჭიროთ მიმაჩნია შევნიშნო, რომ აქ ეჭვიც არ არის—ეს საშუალება ბევრად თუ ცოტად ყოველთვის გაასუქებს,—გაანოყიერებს ნიადაგს; მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ამ გვარი მცენარეები ჰაერიდგან მიღებულ აზოტს ახმარენ თავიანთ პარკებს, თესლს და მთელ საკუთარს ორგანიზმს; მაშასადამე, ნაყოფის მოკრეფის შემდეგ მცენარის ტანში,—ფესვებში ძალიან ნაკლებათ რჩება ეს—მიწის გამსუქებელი—ნივთიერება. და თუ გვსურს, რომ ნიადაგი შესამჩნევად განოყივრდეს და გაპატივდეს, იმ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა, ცერცვეული მცენარეები აჰყვავების დროს მოითიბოს და ერთიანად ჩაიხნას მიწაში. ამგვარი საშუალებით, რასაკვირველია, ცერცვეულ-მცენარეთაგან პირ და პირ ჰაერიდგან მიღებული აზოტი და მიწიდგან შეწოვნილი აზოტეული ნივთიერება, რომელნიც დანიშნულნი იყვნენ თესლისა და პარკის დასამწიფებლად—საზრდოთ, სულ ერთიანად დაუბრუნდებიან სინოყივრეთ ნიადაგს.

ცერცვეული მცენარეები აზოტს პირდაპირ ჰაერიდგან ითვისებენ. ეს ელემენტი გროვდება მთელს მცენარის ორგანიზმში, მომეტებულად ფესვებში,—მაგრამ აქ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ძვირფასი საზრდო-კი არ რჩება მთელად მცენარის ტანში და არც მცენარის ზრდის დროს არ გადადის,—არ უერთდება ნიადაგს, არამედ ასაზრდოვებს—ამწიფებს ნაყოფს.

ყოველს შემთხვევაში ძირიანად ამოთხრას და გადაყრას, რასაკვირველია, ბევრად სჯობს ნაყოფის მოკრეფის შემდეგ დანარჩენი ფესვები და ტანი ჩაიხნას მიწაში, არამც თუ მარტო ცერცვეული მცენარეების, არამედ სხვა მრავალი მცენარეებისაც, რადგანაც მათი ნაწილები იხრწნებიან, ლპებიან მიწაში და ამ გვარად მას ასუქებენ,—ამდიდრებენ მცენარეთა საზრდო-ნივთიერებით.

სვიმონ ხუნდაძე.

იალტა, ივლისი 1895 წ.

## ძველი სიგელი.

ქ: ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ ღვთივ აღმატებულმან და ღვთივ დამყარებულმან მეფემ პატრონმან შაჰნავაზმან და ძმამან ჩვენმან ბატონიშვილმან პატრონმან გიორგიმ ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსადეგი სითარხნის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენს კარის დეკანოზს ტლაშაძეს მღვდელს იესეს ძმასა შენსა სეხნიასა ივანესა და შვილსა შენსა ზაქარიასა და სახლისა თქვენისა . მომავალთა ყოველთავე მაჟამსა ოდეს მოგვიდექით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და სითარხნეს გვიაჯენით მოკითხული ვქენით პირველადაც თარხანი ყოფილიყავით და აწ ჩვენც ასე გათარხნეთ რომე არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს-რა არა საბალახე და პირისთავი არა ნახირის თავი არა შიშლიგი არა ტიკი არა ულაყი არა ზვრის მუშაობა არა საჩექმე და საქვრით ერთის სათათროს საურისა და ლაშქარ ნადირობისაგან: კიდევ ჩვენს კარზედ უნდა იმსახუროთ: გქონდეს ეს ჩვენგან ნაწყალობევი სიგელი და არ აოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა სხვათა მეპატრონეთაგან აწ̃ე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვაქილ-ვეზირნო და გამრიგენო ბრძანება ესე ჩვენი თქვენცა ესრეთ დაუმტკიცეთ: დაიწერა: ბრძანება: და: ფარმანი: ქ̃კსა: (უა:) აპრილის: (ვ:) ხელითა: კარისა: ჩვენისა: მდივან: მწიგნობრიშვილის: თუმანიშვილის: დავითისითა: (უა=1713.)

აზის სამი ბეჭედი: მეფისა, *) მწიგნობრიშვილისა და ერთიც სხვა. ყოველს სიტყვას ორ-ორი წერტილი უზის.

ეს არის ნაწერი ნახევარ თაბახიან სქელ ქაღალდზე. თავში აქვს მშვენიერი მხატვრობა: მეფე სამეფო ტანისამოსით და გვირგვინ დახურვილი ზის ; მარჯვენა ( მხარეს ) ხელში სკიპტრი და მარცხენაში ბურთი უჭირავს ; ბურთს ზემოდან აზის ჯვარი. მეფის ახლოს სდგას მეფე-მემკვიდრე, აქეთ-იქით უხატიათ მშვენიერი მხვილ-ფოთოლა ყვავილები. მთლად ნახატობას აქვს სიგძე რვა გოჯი და სიგანე ოთხი, რომლის შემდგომაც იწყება ზემოხსენებული ნაწერი.

ამ ნაწერის გვერდზედ თავში, თითქოს განგებ მისთვის დატოვებულიაო ადგილი, და არის შემდეგი წარწერა: ქ: ჩვენ ბატონიშვილი იულონ ამ წყალობის (სიგელს) სიგელს ვამტკიცებთ, რომ ეს ტლაშაძეები პირველათაც სახასონი ყოფილან, და მერმე სანატრელს მამაჩვენსაც სახასოთ დაუდვია, და ბარათში ჩვენ საუფლისწულოთ ყმათ გვერგნენ. ეს წყალობა და სითარხნე ჩვენც ასე დავუმტკიცეთ, როგორც ეს წიგნი უცხადებს და არ მოუშალეთ: მაისის კვ ქკსა´უპვ=1798.

აზ .ს რგვალ-კუთხიანი რიფმიანი ბეჭედი:

ღვთის-მშობლის სასოიანი.
იულონ დავითიანი.

მღ. რაჟ. აფციაური.—

*) მეფის ბეჭედში წვრილის ციფრით არის: „1713“.

## ახირებული ეჭვი.

ბათუმის რუსულ გაზეთში დაცინებით მოხსენებულია: მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის განცხადებათა შორის ამოვიკითხეთ: ისყიდება მამული ქუთაისში, არტილერიის ქუჩაზედ, შესატანი ფული 346 მან. ეს მამული ეკუთვნის ერთ-ერთ ქალაქის მოურავსაო! და როგორ მოურავობას გასწევს იმისთანა კაცი, რომელსაც ასე მცირედი შესატანი დროზედ ვერ შეუტანიაო.!

მკითხველი მიმხვდარია, თუ რომელი ქალაქის მოურავისა არის ეს მამული. მაგრამ რა ნახა აქ გასაკვირი და გასაცინელი ბათუმის გაზეთმა—ვერ გაგვიგია! თითქმის ყოველთვის ჩვენი ბანკების განცხადებებში თვით ბანკის თავმჯდომარეთა მამულებია არის საჯაროდ გასაყიდად დანიშნული, მაგრამ ამის—გამო არავის არ მოსვლია ფიქრად, რომ ისინი დაგმონ! ესეც არ იყოს , გაიხსენოს ბათუმის გაზეთის რედაქტორმა არბენინ-პალმმა ოდესის თავისი ისტორია და თუ ამ ისტორიის შემდეგ მას შეუძლია და შეეფერება რედაქტორობა, რატომ იმ კაცს, რომელსაც მტაცებლობა და სხვისი მოტყუილება ფარხმალად არა ჰქონია თვისს ცხოვრებაში, არ უნდა შეეძლოს, რომელისამე ქალაქის მოურაობა?!.

ბათუმის მეკენჭე.

## რუსეთის ცხოვრება.

სოფლის მემამულეს ბუტმი-დე-კაცმანს რევოლვერით მოუკლავს ცნობილი ბესარაბელი მოვახშე მილიონის პატრონი დიმანტი, რომელიც თურმე საშინელს სიმკაცრეს იჩენდა როდესაც ბუტმი-დე-კაცმანს მამულს უწერდნენ. ამ ამბავს გაზ. „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ ოდესიდგან.

სულ არ არის რამდენიმე დღეო—ამბობს გაზეთი „ნოვოე ვრემია“,—რაც „გრაჟდანინში“ დაიბეჭდა წერილი ბესარაბიიდგან სათაურით „შემაძრწუნებელი ამბავი“, რომელშიაც მოთხრობილია, როგორი სიმკაცრე ჩაიდინა ამ წურბელა ოიზერ დიმანტმა, ერთის მემამულის ქ-ნის სტიმატის წინააღმდეგ; ოიზერ დიმანტმა პირდაპირ განუცხადა თურმე ქ-ნის სტიმატის დანარჩენ მოვახშეებს, რომელნიც თურმე მზად იყვნენ კიდევ დაეცადათ და შეღავათი მიეცათ სტიმატისათვის, რომ იგი, ოიზერ დიმანტი, არაფრის გულისათვის არ იზამს მას და მზაა სტიმატისაზედ გაცემული ფული მსხვერპლად შესწიროს, ოღონდ ქ-ნი სტიმატი დაღუპოს.

ამ წლის აპრილში 17 კაცმა, რომლებისაც ფული ემართა ქ-ნს სტიმატს, თხოვნით მიჰმართა ბესარაბიის გუბერნატორს და სთხოვდნენ, რომ როგორმე „ჩაეგონებინა ოიზერ დიმანტისათვის, უფრო ადამიანურადა და სინიდისიერად მოჰპყრობოდა იგი ქ-ნს სტიმატს და არ დაეღუპნა“, მაგრამ თხოვნა ვერას გახდა; ოიზერ დიმანტს გამოჩენილი ვექილი ჰყავს, ჯიბეში მილიონი აქვს და მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არც სამართალსა და არც ადგილობრივს მთავრობას, დიმანტი იმ დრომდის არ დამშვიდდება, ვიდრე ბესარაბიის თავად-აზნაურობა ებრაელთა შიშს არ დაუწყებს ჰრას“—და ამიტომაც იყო, რომ შუამდგომლობამ სრულიად უშედეგოდ ჩაიარა. დიმანტს სურვილი არ გაუცრუვდა, ქ-ნი სტიმატი დაღუპა. გამარჯვებული ბრძოლაში დიმანტი დარჩა. დიმანტზედ საჩივარი შეიტანეს, როგორც მოვახშეზედ , რადგანაც კანონიც ჰკრძალავს ამგვარს ხელობას , — მაგრამ ოიზერ დიმანტი მაინც გამარჯვებული დარჩა ; »ამ დღეებში სასჯულო საქმეთა მინისტრსაც წარედგინება თხოვნა დიმანტის მევახშეობის შესახებაო“, ამბობს „გრაჟდანინის“ კორესპონდენტი. ოიზერ დიმანტი აქაც სრულს ვამარჯვებას მოელოდა... ასე შემაძრწუნებლად შეურაცხ-ჰყოფდა თვისს მსხვერპლთ, რომელთა შორისაც, რასაკვირველია, არც ერთი ებრაელი არ მოიპოვებოდაო,—ამბობს, „გრაჟდანინის“ კორესპონდენტი.

ეხლა-კი სასამართლოც, ადმინისტრაციაც და ბრალმდებელიც, ყველა გამოიღვიძებს.. და ყველა დიმანტის მკვლელის განსჯა-გასამართლებაში იქნებაო, დასძენს გაზეთი.

—

რუსეთის იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არ არსებობს, საერო საქმეებს და გარდასახადს განაგებენ დღეს გამგე კომიტეტები. გაზეთ „ორლოვს. ვესტნიკს“ გაუგონია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს კომიტეტები უვარგისად უცვნია და განუზრახავს ახალ საკოლეგიო დაწესებულებათა შექმნა.

—

ციმბირის სასამართლო საქმეთა რეფორმა, რომელსაც მოუთმენლად ელის ეს მივიწყებული ქვეყანა და რომლის მოხდენა კარგა ხანია გარდაწყდა, როგორც „იურიდ. გაზ.“ იუწყება, ისევ გარდიდვაო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

მარკიზ სოლსბერის ორგანო „სტანდარდ“-ი ამ დღით სამთა კავშირის შესახებ და იმაზედ ლაპარაკობს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამ უკანასკნელთან ინგლისს. გაზეთის უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია წერილი, რომელშიაც საკმაოდ ვრცლად არის გამოთქმული შეხედულება „სტანდარდისა“, ანუ უკეთ ვსთქვათ, შეხედულება დღევანდელის ბრიტანიის პირველ მინისტრისა ამ საგნის შესახებ.

ინგლისის დიპლომატები დიდის პატივით ეპყრობიან სამთა კავშირსაო,—ამბობს „სტანდარდ“-ი, რადგანაც იგი, ჩვენის შეხედულებით, თავდებია ხანგრძლივის მშვიდობიანობისა. ჩვენს სურვილს შეადგენდა მუდამ მშვიდობიანად და თანხმობით გვეცხოვრა საფრანგეთთანა და რუსეთთან და თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთს მცირე დაბრკოლებას, კიდევაც სრულდებოდა დღემდის ეს ჩვენი სურვილი; ხოლო რაც შეეხება შუაგულ ევროპის კავშირს, მას-კი მუდამ ნდობით ვეპყრობოდით, რადგანაც იგი დამყარებულია ევროპის საერთო მშვიდობიანობის სურვილზედ, თუმცა , გამოვტყდებით , ჩვენ სრულიადაც არა ვართ მათ მიერ აღნიშნულ აზრების მიმდევარნი. სამთა კავშირიდგან აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარენი სულ სხვა აზრისაკენ მიისწრაფიან, რომლის მიღწევაც მხოლოდ ომით შეიძლება, მაშინ, როდესაც სამთა კავშირის მონაწილეთ ყველა, რაც-კი ჰსურთ, ხელთ უპყრიათ და მხოლოდ იმაზედ-ღა ფიქრობენ, რომ დღევანდელი გარემოება არაფრით არ შეიცვალოს.

რამდენადაც-კი გარემოება ხელს შეგვიწყობს, ჩვენი დიპლომატები მუდამ მზად იქნებიან სამთა კავშირთან ერთად ეცადნენ მშვიდობიანობა არაფრით არ დაირღვას. ჩვენ ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან (იტალიაა) თანხმობაც-კი გვაქვს დადგენილი, რომლის ძალითაც მოვალენი ვართ, თუ-კი მის წინააღმდეგ რომელიმე სახელმწიფო ამხედრდება, მხარი დავუჭიროთ მას. მაგრამ მაინც ამაზე შორს-კი ვერ წავა ჩვენი თანხმობა. ჩვენ არ შეგვიძლიან ვიკისროთ ყველა მოულოდნელი ხიფათი, რომელიც-კი შეიძლება ამ ფორმალურს თანხმობას მოჰყვეს. ჩვენ ისედაც საკმაოდ ბლომადა გვაქვს ქვეყნიერობის ყველა ნაწილში ადგილები ქარტებზედ აღნიშნული, რომ ახლა ისეთ სახელმწიფოების ვალდებულებაც ვიკისროთ, რომელნიც მხოლოდ ერთ საგანზედა ფიქრობენ: ევროპაში თანასწორობა იქმნას დაცულიო. ჩვენი და მათი პირობები ძალიან განსხვავდებიან. ჩვენის ფიქრით მაინც სასარგებლო იქნებოდა გერმანიისათვის ინგლისის მოწყალე თვალი, რადგანაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს ერთს იმ სერიოზულს ფაქტორს, რომელზედაც არც ერთი დაკვირვებული და ფრთხილი გერმანიის პოლიტიკის ხელმძღვანელი არ იტყვის უარს. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ჩვენი სინანული განვაცხადოთ, რომ გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრო ასე მიენდო შინაურს თავისებურობას და არ თანაგვიგრძნო და ამიტომ ასე ნაკლები სარგებლობა მოუტანეს თვით გერმანიასაცაო.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** ამ ბოლო დროს გაზეთებმა დაიწყეს ლაპარაკი, ვითომ ევროპის სახელმწიფოთ გარდაეწყვიტოთ, რომ ოსმალეთის აზიურს პროვინციებში მმართველად ნიშნავენ კომისარს „მეფის მოადგილეს“ უფლებით. ახლა ვენის გაზეთებს ნამდვილ წყაროებიდგან შეუტყვიათ, რომ ეს ხმა სრულიად მოკლებულია სინამდვილესაო. ლორდ სოლსბერის, ამბობს „პოლიტიშე კორესპონდ.“, აზრადაც არა აქვს და არც შეუძლია ამგვარი რადიკალური ღონე იხმაროსო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

ახალგაზდა მოგზაურს ფრანგს ლეგრას რუსეთში ტოლსტოიც უნახავს. მოგზაური დიდად გაკვირვებია ტოლსტოის გულკეთილობას. ეს სათნოთვისებაა,—ამბობს ლეგრა, ტოლსტოის „ცხოვრებისთვის შეუერთებიაო“. ცხოვრება და სათნოება იმდენად განუყოფელია მისთვის, რომ მას არ უხდება ხოლმე ბრძოლა ამ თვისებასთან. ხოლო მადლსტანებსა და ბრძოლას, რომელთა ცხოვრებიდგან განდევნა კაცის ბუნებას ახლუნგებს და ახასუნებს, იგი მაინც უარს არა ჰყოფს. „აი სწორედ ამითი განირჩევა ტოლსტოი თავისს მიმდევართაგან, რომელნიც მკრთალის სახით, დაკორძებულის ხელებით შეგხვდებიან რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში. ამ ჯაფასტანებს ძალიან ეჯავრებათ ყველა ისინი, ვინც არა ჰბაძავენ. ესენი მისდევენ მოძღვრებას, რომელიც მათ არ შეუქმნიათ, და რომელიც შეადგენს მათთვის მხოლოდ გარეგანს თვისებას. ისინი ჰკარგავენ ბუნებითს სიცოცხლეს, რითაც დიდად განირჩევიან თავისს მასწავლებლისაგან; სცხოვრებენ განდეგილად და მხოლოდ სიტყვიერად აღიარებენ იმ მოძღვრებას, რომელიც მათ კითომდა მიუღიათ. ტოლსტოის აზროვნება ჯერ კიდევ ცოცხალია და მოქმედი. მას ყოველისფერი აინტერესებს, ჰგრძნობს, მსჯელობს, ის უარსა-ჰყოფს იმ მოციქულის როლს, რომელიც ძალათ უნდათ აკისრებინონ. „მე თუ ვსწერო, ამბობს ტოლსტოი, იმისთვის-კი არა, რომ ვიქადაგო: მოწყალება, შრომა, არა წინააღმდეგობა ბოროტებისა, ვეგეტარიანიზმი; მე ვსწერ იმისთვის, რომ ვუთხრა ჩემს ძმებს: „დაინახეთ, აი რა მომცა მე სათნოებამ, თუ გული თქვენი მიისწრაფის მისდამი, თქვენც სცადეთ იგი“. ასე ესმის ტოლსტოის თავისი როლი და ყოველთვის სცდილობს არ შეზღუდოს თვის მახლობელთა თავისუფლება.

ზოგიერთნი მისი მიმდევარნი, სცდილობენ დაივიწყონ ყოველივე, რაც იციან, ხოლო თვით-კი ყოველთვის მნიშვნელობას აძლევს ყოველს წვრილმანს აზრს. ლაპარაკი სასიამოვნო აქვს, ეხება მრავალ სხვა-და-სხვა საგნებს, აქვს დიდად მოსიყვარულე გული. ზოგს ჰგონია, რომ ტოლსტოი მიუკარებელია; ეს ტყუილია, პირიქით ტოლსტოი სტუმართ-მოყვარე კაცია, სძულს ტყუილი და მეტის-მეტი გულწრფელია. რასაკვირველია, ზოგიერთ ტყუილისა და სიმართლის გაგებაში სცდება ხოლმე და უმიზეზოდ ჯავრობს, მაგრამ სიყვარუ-

ლი სიმართლისა და გულწრფელობა მისი ხელმძღვანელის ცხოვრებაში“.

## წერილები რედაქციის მიმართ.

—

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ შემთხვევას სხვის გასაფრთხილებლად მაინც.

ერთს ბათუმს ღვინის მოვაჭრეს ერმია სალამეს ამ ორის თვის წინად თავისი ღვინოები წაეღო ეკატერინოდარში გასასყიდად; მივიდა-რა ადგაზედ, დაუწყო საქონელს ყიდვა ცალობით; ეს შეიტყო იქაურმა ღვინის მოვაჭრე კობერიძემ, რომელიც პირველად ვითომ-და სავაჭროთ მივიდა, გამოჰკითხა ფასი და შემდეგ ფუთში ორი მანეთი აძლია იმ პირობით, თუ სალამე ჭურჭელს უფასოდ დაუთმობდა. გამყიდველს არაფრად ეპიტნავა ასეთი ფასი და უარი უთხრა. კობერიძე იმ წამსვე გაიქცა და მოურავი მოიყვანა, მაგრამ მოურავმა რაკი ნახა საქონლის ცალობით ყიდვა, ვერაფერი უთხრა. სალამემ გაყიდა ღვინოები, 700 მანეთამდის შეაგროვა და წამოვიდა ბათუმისაკენ. ნოვოროსიისკში რომ მივიდა, საიდგანღაც ერთი კაცი ამოუდგა გვერდით და დაუწყო რუსულად ლაპარაკი ჯერ იქაურობაზე და მერე, როცა შენიშნა, რომ იქაური არ იყო, ჰკითხა, სად ყოფილა, ან საით მიდის და გაიგო თუ არა სალამის ვინაობა, უთხრა: მეც იქით მივდივარ, წავიდეთ, ღვინო დავლიოთ, სანამ დრო გვაქვსო. მაგრამ სალამემ უარი გამოუცხადა, არა მცალიანო. მაშინ უცნობმა პაპიროსი მისთავაზა, ეს მაინც მოსწიეთო. სალამემაც ჩამოართვა პაპიროსი და დაუწყო წევა, მაგრამ უცბად გული შემოეყარა, თავბრუ დაესხა, თვალები დახუჭა და სრულიად მკვდარს დაემზგავსა, თუმცა-კი გრძნობა არ დაჰკარგვია. უცნობმა გაიკვირვა, რა ამბავია, კაცო, რა მოგივიდაო; შემდეგ მოჰკიდა ფეხებში ხელი და გაატარა, იქნება მოგიხდესო, და ამ დროს ამოაცალა თუ რამ მოეპოვებოდა. ორის საათის შემდეგ სალამე მორჩა, სიცოცხლე იგრძნო, მაგრამ რაღა სიცოცხლე! უკაპიკოდ დარჩა უცხო მხარეში. იხმარა უკანასკნელი ღონისძიებაც—მიჰმართა პოლიციას, მაგრამ ამოდ, არავინ ყურადღება არ მიაქცია.

პ. გიორგაძე.

ბათუმი.

—

20 ივლისს ხაშურში სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენა იყო გამართული ვლადიმერ ადექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ. ბილეთები გაიყიდა 58 მ. 40 კაპ., ხარჯი იყო: ბაღი და მუსიკა 20 მ., ზურნა 5 მ., აფიშები, ბილეთები და გორში წასვლა-მოსვლა 8 მ., დეპეშა გორის მაზრის უფროსთან, რადგანაც ბოქაული წარმოდგენის ნებას არ გვაძლევდა, თუმცა ნებართვა აღებული გვქონდა გორში 2 მ. 70 კაპ., სხვადა-სხვა ხარჯი 5 მ. და 71 კ., სულ 41 მ. და 41 კ., წმინდა შემოსავალი დარჩა 16 მ. და 99 კ.

დიდის მადლობის ღირსნი არიან ის პირნი, რომელთაც ამ კეთილ განზრახვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს და თვისი შრომა არ დაზოგეს.

გ. ს.

—

P. S. მინამ წარმოდგენას გავმართავდით, ჩვენ ხელის მოწერა გავმართეთ იმისავე სასარგებლოდ და მოვაგროვეთ 1 მ. 80 კ სია შემომწირველთა: მღვდელმა დ. ტატიშვილმა 1 მ., ფოსტის უფროსმა დ. მებურიშვილმა 20 კ., მასწავლებელმა გ. ხუციშვილმა 60 კ.

გ. ს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 აგვისტო.

**პეტერბურგი.** ვლადივოსტოკიდგან აუწყებენ დეპეშით „ნოვ. ვრ.“-ს: „დედოფალთან შეტაკებისა გამო რეფორმათა სამინისტრო სეულში დაემხო. უფლება კონსერვატორთა პარტიამ ჩაიგდო ხელში. რეფორმის შემოტანის მსურველთა პარტიის წინამძღოლი შინაგან საქმეთა მინისტრი პაკი იაპონიაში გაიქცა. მისმა მომხრეებმა სეულს თავი დაანებეს. აღელვებულმა ნაწილმა ხალხისამ, რომელსაც კონსერვატორები აქეზებდნენ, იაპონიის საელჩოს აკლება ჰსურდა, მაგრამ ვერ შესძლეს, რადგანაც საელჩოს მხედრობა იცავდა. იაპონიის საელჩოს ბრალს სდებენ, ვითომ განზრახვა ჰქონოდეს მას მეფე და მისი პირველი მინისტრი პაკი ტყვედ წაეყვანათ. ამბობენ, რომ ამის შესახებ წერილობითი თანხმობაც კი არსებობსო. იაპონიის მინისტრ პრეზიდენტი სეულში საჩქაროდ დაბრუნდა იაპონიიდგან, რომ იაპონიას თვისი გავლენა არ დაეკარგოს.

**ბრიუსელი.** პარლამენტმა 81 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 52-ისა დაამტკიცა სასკოლო კანონი.

**სოფია.** დეპუტატის კიტანჩევის დასაფლავებაზედ, რომელიც სტამბულოვის დროს სამის წლით იყო დაპატიმრებული და გარდაიცვალა იმ მიზეზით, რომ პატიმრობის დროს მკაცრად ეკიდებოდნენ, ხალხი სტამბულოვის საფლავზედ მივიდა და მიუხედავად იმისა, რომ საფლავს ჟანდარმები სდარაჯობდნენ, სრულიად ჩაამტვრია ლამპრები და გაახრა გვირგვინები.

**ლონდონი.** საპასუხო ადრესის განხილვის დროს ლორდთა პარლამენტში სოლსბერიმ განაცხადა, რომ ჩიტრალის დაპყრობა არც სამხედრო ხარჯსა და არც მხედრობის რიცხვს არ ასწევსო ინდოეთში. სომხეთის შესახებ კაბინეტი ისევ როზბერის პოლიტიკას მიჰყვებაო.

საზოგადოებათა პარლამენტში განაცხადა კერზონმა, რომ მუსლიმანთა სოფლებში მომხდარ ძალმომრეობათა შესახებ ბულგარიას წინადადებანი წარედგინებაო.

**პიტტსბურგი.** ხუთი-ათას კაცისაგან შემდგარ კრებაზედ დაადგინეს ირლანდიელებმა, შეადგინონ საიდუმლო საზოგადოებანი ინგლისის წინააღმდეგ და შეიარაღდნენ კიდეც იმ შემთხვევისათვის, თუ ევროპაში ომი მოხდება, რომ ამითი თავისს სამუდამო მოსისხლე მტერს მაგიერი გადაუხადონ.

6 აგვისტო.

**პეტერბურგი.** „ნოვოსტი“ იუწყება, რომ თუ ტუნის-იტალიის ხელშეკრულობა მოისპო, მაშინ 25000 იტალიელი ტუნისში გადასახლდებაო.

**პარიზი.** „ჰავასის სააგენტო“ იუწყება, რომ მთავრობა წინააღმდეგია ტუნის-იტალიის სავაჭრო ხელშეკრულობისაო და, როგორც ხმა დადის, მთავრობას განზრახვა აქვს ის ხელშეკრულობანიც დაარღვიოს, რომელთა ძალითაც ავსტრი-უნგრეთი და ინგლისი სხვა სახელმწიფოებთან შედარებით მეტის უპირატესობით სარგებლობენო.

**სტამბოლი.** რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის ელჩებმა კოლლექტიური ნოტა წარუგზავნეს ოსმალეთის მთავრობას, რომელშიაც ახსნილია ოსმალეთის მთავრობის მიერ ბუნდად და გაურკვევლად გამოთქმული აზრი სხვა-და-სხვა შეღავათის შესახებ, და დასახელებულია ის რეფორმები, რომელთა განხორციელებასაც ელჩები განსაკუთრებულს მნიშვნელობას აწერენ. სახელმწიფონი ურჩევენ ეგრედ წოდებული შერეული საკონტროლო კომისიები იქმნას დაარსებული და ერთხელ და სამუდამოდ იქმნას დადგენილი ოლქის უფროსები ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ამოარჩიონ ხოლმე.

7 აგვისტო.

**პეტერბურგი.** 6 აგვისტოს, ავსტრიის იმპერატორის დაბადების დღეს, პეტერგოფის დიდს სასახლეში, მათის უმაღლესობის თანასწრებით გამართულ იქმნა სადილი. ავსტრიის ელჩს სადილზედ ხელმწიფე იმპერატრიცას მარჯვნივ ეჭირა ადგილი. ხელმწიფე იმპერატორმა ავსტრიის იმპერატორის სადღეგრძელო მიირთვა.

**ბერლინი.** 6 აგვისტო. ბელგრადიდგან აუწყებენ „კელნის გაზეთს“: „მინისტრ-პრეზიდენტმა ნოვაკოვიჩმა სთხოვა მიტროპოლიტს მიხეილს აცნობოს რუსეთის გავლენიან პირთ, რომ დღევანდელს მთავრობას არავითარი ერთობა არა აქვს გარეშე პოლიტიკის მიმართულებასთან, რომელსაც მეფე მილანი მისდევდა. სერბიის კაბინეტს ისევე უყვარს, პატივსა სცემს და გულწრფელს მადლობასა ჰკრძნობს რუსეთის მიმართ, როგორც საზოგადოდ ყველა სერბიელნიო. ნოვაკოვიჩმა ყველა ეს რუსეთის ელჩს განუმეორა.

**ბელგრადი,** 7 აგვისტო. გუშინ საღამოთი მიწა იძრა. მართალია მიწისძვრა ძალიან მცირე ხანს განეგრძო, მარამ საკმაოდ ძლიერი-კი იყო.

**სტამბოლი.** აქ ჩამოვიდა ბულგარიის მმართველთა აგენტი დიმიტროვი.

## „ივერიის“ ფოსტა.

**ოზურგეთი. ლუკ. ხუნდაძეს.** თუ გნებავთ თქვენი პასუხი დაიბეჭდოს „ივერიაში“, ერთი რომ შეამოკლეთ და თქვენის ბრალმდებელის წერილის სივრცე იქონიეთ სახეში და მეორე—პასუხი უნდა შეეხებოდეს მხოლოდ ბრალდების შინაარსს და არა კერძო საგნებს, რომელთაც საქმესთან კავშირი არა აქვთ.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

«მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი»

წერილი მ. ჯანაშვილისა.

(60 გვ.. ფასი 10 კაპ.)

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსაღების საქონლისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში (100—721—›)

უმაღლესად დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

დამზღვევი საზოგადოება

„როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუკეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემუშწოდასადგურებზედ. 50—6—47


Дозволено цензурою, Тифлисъ 5-го Августа 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.